ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01232262442**
თარიღი: **14/08/2023**

ადრესატი: შპს კონსოლი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405059378
მისამართი: თბილისი ც. დადიანის195; ტელ: 599 574 787

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილი, თქვენი, 2023 წლის 10 აგვისტოს №10/0123222174-61 განცხადების გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ სააგენტო თანახმაა, სააგენტოს 2023 წლის 8 აგვისტოს №61-0123220521 წერილში მითითებული პირველი ბინა-ერთეულის მონაცემი (სართული) დაკორექტირდეს და განისაზღვროს შემდეგი სახით:

1) სართული 4, ბინა №18 - საერთო ფართობით 61.05 კვ.მ. (საცხოვრებელი ფართი 53.60 კვ.მ. და საზაფხულო ფართი 7.45 კვ.მ.).

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-0123220521**
თარიღი: **08/08/2023**

ადრესატი: შპს კონსოლი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405059378
მისამართი: თბილისი ც. დადიანის195; ტელ: 599 57 47 87

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) შემოსული, თქვენი, 2023 წლის 2 აგვისტოს №10/0123214225-61 განცხადების პასუხად, გაცნობებთ შემდეგს:

როგორც თქვენთვის ცნობილია, სააგენტოსა და შპს „კონსოლს“ (ს/ნ: 405059378, შემდგომში - ქონების გადამცემი) შორის, 2023 წლის 4 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის“ ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) 1.1 პუნქტის თანახამად, გადამცემი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემს უძრავი ქონების (ს/კ: 01.17.12.003.091) ნაწილს, რომლის საერთო ფართობიც განისაზღვრება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების ფარგლებში მიღებული ნამატი სააგნარიშო ფართობის 4%-ის ოდენობით და შეადგენს საცხოვრებელ ფართს - არანაკლებ 566.904 კვ.მ-სა.

ხელშეკრულების 1.2. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასაცემი ქონების ადგილმდებარეობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით - უძრავი ქონების შესახებ ქონების გადამცემის მიერ მიწოდებული მონაცემების სააგენტოს მხრიდან მოწონებისა და დადასტურების გზით.

ზემოაღნიშნულისა და ხელშეკრულების 2.1 პუნქტის გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ სააგენტო თანახმაა, ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონება (ს/კ: 01.17.12.003.091), კერძოდ:

1) სართული 5, ბინა №18 - საერთო ფართობით 61.05 კვ.მ. (საცხოვრებელი ფართი 53.60 კვ.მ. და საზაფხულო ფართი 7.45 კვ.მ.);

2) სართული 5, ბინა №38 - საერთო ფართობით 61.60 კვ.მ. (საცხოვრებელი ფართი 53.60 კვ.მ. და საზაფხულო ფართი 8.00 კვ.მ.);

3) სართული 5, ბინა №41 - საერთო ფართობით 52.40 კვ.მ. (საცხოვრებელი ფართი 48.25 კვ.მ. და საზაფხულო ფართი 4.15 კვ.მ.);

4) სართული 6, ბინა №59 - საერთო ფართობით 61.60 კვ.მ. (საცხოვრებელი

ფართი 53.60 კვ.მ. და საზაფხულო ფართი 8.00 კვ.მ.);

5) სართული 6, ბინა №62 - საერთო ფართობით 52.40 კვ.მ. (საცხოვრებელი ფართი 48.25 კვ.მ. და საზაფხულო ფართი 4.15 კვ.მ.);

6) სართული 7, ბინა №80 - საერთო ფართობით 61.60 კვ.მ. (საცხოვრებელი ფართი 53.60 კვ.მ. და საზაფხულო ფართი 8.00 კვ.მ.);

7) სართული 7, ბინა №83 - საერთო ფართობით 52.40 კვ.მ. (საცხოვრებელი ფართი 48.25 კვ.მ. და საზაფხულო ფართი 4.15 კვ.მ.);

8) სართული 8, ბინა №102 - საერთო ფართობით 70.15 კვ.მ. (საცხოვრებელი ფართი 61.95 კვ.მ. და საზაფხულო ფართი 8.20 კვ.მ.);

9) სართული 8, ბინა №104 - საერთო ფართობით 52.40 კვ.მ. (საცხოვრებელი ფართი 48.25 კვ.მ. და საზაფხულო ფართი 4.15 კვ.მ.);

10) სართული 9, ბინა №125 - საერთო ფართობით 52.40 კვ.მ. (საცხოვრებელი ფართი 48.25 კვ.მ. და საზაფხულო ფართი 4.15 კვ.მ.)

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად და „თეთრ კარკასულ“ მდგომარეობაში გადაეცეს სააგენტოს.

ამასთანავე, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მოგახსენებთ, რომ №01.17.12.003.091 საკადასტრო ერთეულზე, ხელშეკრულების 2.5 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს სასარგებლოდ რეგისტრირებული ვალდებულება (რეგ. №882023327668) არ ვრცელდება პროექტით შეთანხმებულ ინდივიდუალურ ბინა-ერთეულებზე.

დამატებით, გაცნობებთ, რომ ხელშეკრულების 2.7 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებული ვალდებულება გაუქმდება შესაბამის ინდივიდუალურ ფართებზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ხელშეკრულების 2.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, რეგისტრაციის შემდგომ, კომპანიის მიმართვისა და სააგენტოს მიერ შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველზე.

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი